

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი	26

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
ძირითადი საშუალებები	5	13 603 600	13 384 450
არამატერიალური აქტივები	6	38 755	27 348
გრძელვადიანი მოთხოვნები	7	-	77 111
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	8	54 668	54 668
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,697,023	13 543 577
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	177 025	201 953
საგადასახადო აქტივები	14	92 998	-
წინასწარ გაწეული ხარჯი	9	57 939	57 939
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1 789 167	2 048 106
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	194 534	505 137
სულ მიმდინარე აქტივები		2 311 664	2 813 135
სულ აქტივები		16 008 686	16 356 712
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	11 565 562	11 565 562
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	13	(1 142 523)	(544 288)
არამაკონტოლებელი წილი		(46 663)	(22 796)
სულ კაპიტალი		10 376 376	10 998 479
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	3 619 365	3 735 298
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3 619 365	3 735 298
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	1 057 476	1 509 982
მოკლევადიანი სესხები	15	925 152	77 111
საგადასახადო ვალდებულებები	14	-	35 786
ფინანსური ვალდებულება		30 317	56
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 012 945	1 622 935
სულ ვალდებულებები		5 632 310	5 358 233
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16 008 686	16 356 712

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

18 დეკემბერი, 2024

შენიშვნები გვერდებზე 7-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
ძირითადი საშუალებები	5	13 603 600	13 384 450
არამატერიალური აქტივები	6	38 755	27 348
გრძელვადიანი მოთხოვნები	7	-	77 111
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	8	54 668	54 668
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,697,023	13 543 577
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	177 025	201 953
საგადასახადო აქტივები	14	92 998	-
წინასწარ გაწეული ხარჯი	9	57 939	57 939
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1 789 167	2 048 106
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	194 534	505 137
სულ მიმდინარე აქტივები		2 311 664	2 813 135
სულ აქტივები		16 008 686	16 356 712
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	11 565 562	11 565 562
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	13	(1 142 523)	(544 288)
არამაკონტოლებელი წილი		(46 663)	(22 796)
სულ კაპიტალი		10 376 376	10 998 479
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	3 619 365	3 735 298
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3 619 365	3 735 298
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	1 057 476	1 509 982
მოკლევადიანი სესხები	15	925 152	77 111
საგადასახადო ვალდებულებები	14	-	35 786
ფინანსური ვალდებულება		30 317	56
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 012 945	1 622 935
სულ ვალდებულებები		5 632 310	5 358 233
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16 008 686	16 356 712

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



18 დეკემბერი, 2024

შენიშვნები გვერდებზე 7-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	18	4 394 590	3 738 362
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	300 097	5 079
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20	(2 061 727)	(1 837 322)
საერთო მოგება		2 632 960	1 906 119
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21	(2 718 046)	(2 338 619)
მიწოდების ხარჯი		(347)	-
საოპერაციო ხარჯი		(2 718 393)	(2 338 619)
საოპერაციო მოგება		(85 433)	(432 499)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	22	11 093	334 352
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	23	(158 906)	943 255
ფინანსური ხარჯი	24	(286 584)	(217 550)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	22	(100 462)	(675 503)
არასაოპერაციო ხარჯები		(534 860)	384 554
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(620 293)	(47 946)
მოგების გადასხადი		(1 809)	(1 276)
წმინდა მოგება		(622 102)	(49 222)
წლის მოგება რომელიც მიეკუთვნება:			
ჯგუფის მფლობელს		(23 867)	(22 795)
არამაკონტოლებელი წილის მფლობელს		(598 235)	(26 427)
		(622 102)	(49 222)

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

18 დეკემბერი, 2024

შენიშვნები გვერდებზე 7-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	18	4 394 590	3 738 362
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	300 097	5 079
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20	(2 061 727)	(1 837 322)
საერთო მოგება		2 632 960	1 906 119
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21	(2 718 046)	(2 338 619)
მიწოდების ხარჯი		(347)	-
საოპერაციო ხარჯი		(2 718 393)	(2 338 619)
საოპერაციო მოგება		(85 433)	(432 499)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	22	11 093	334 352
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან	23	(158 906)	943 255
ფინანსური ხარჯი	24	(286 584)	(217 550)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	22	(100 462)	(675 503)
არასაოპერაციო ხარჯები		(534 860)	384 554
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(620 293)	(47 946)
მოგების გადასხადი		(1 809)	(1 276)
წმინდა მოგება		(622 102)	(49 222)
წლის მოგება რომელიც მიეკუთვნება:			
ჯგუფის მფლობელს		(23 867)	(22 795)
არამაკონტოლებელი წილის მფლობელს		(598 235)	(26 427)
		(622 102)	(49 222)

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



18 დეკემბერი, 2024

შენიშვნები გვერდებზე 7-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“
 კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება,ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	11 565 562	(517 862)	11 047 700
წმინდა (მოგება)/ზარალი ჯგუფის მფლობელს	-	(22 795)	(22 795)
წმინდა (მოგება)/ზარალი არამაკონტროლებელ წილის მფლობელს	-	(26 427)	(26 427)
დივიდენდის გაცემა	-	-	-
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	11 565 562	(567 084)	10 998 478
წმინდა (მოგება)/ზარალი ჯგუფის მფლობელს	-	(598 235)	(598 235)
წმინდა (მოგება)/ზარალი არამაკონტროლებელ წილის მფლობელს	-	(23 867)	(23 867)
დივიდენდის გაცემა	-	-	-
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	11 565 562	-	1 189 186

ხელმოწერი პირი:

 დირექტორი

18 დეკემბერი, 2024

შენიშვნები გვერდებზე 7-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება,ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	11 565 562	(517 862)	11 047 700	
წმინდა (მოგება)/ზარალი ჯგუფის მფლობელს	-	(22 795)	(22 795)	
წმინდა (მოგება)/ზარალი არამაკონტროლებელ წილის მფლობელს	-	(26 427)	(26 427)	
დივიდენდის გაცემა	-	-	-	
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	11 565 562	(567 084)	10 998 478	
წმინდა (მოგება)/ზარალი ჯგუფის მფლობელს	-	(598 235)	(598 235)	
წმინდა (მოგება)/ზარალი არამაკონტროლებელ წილის მფლობელს	-	(23 867)	(23 867)	
დივიდენდის გაცემა	-	-	-	
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	11 565 562	-	1 189 186	10 376 376

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



18 დეკემბერი, 2024

შენიშვნები გვერდებზე 7-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	გადაანგარიშებული	
	2 023	2 022
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(620 293)	(47 946)
კორექტირებები:	-	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	287 431	269 936
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	158 906	(943 011)
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 809)	(1 277)
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	(175 766)	(722 299)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(51 073)	(1 261 280)
ცვლილება მარაგებში	24 928	13 184
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	(92 998)	13 573
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(35 770)	35 786
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(142 557)	1 076 167
გრძელვადიანი მოთხოვნები	11 850	(77 111)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში	(285 620)	(199 681)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(461 386)	(921 980)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილება ძირითად საშუალებებში	(506 580)	(999 628)
ცვლილება არამატერიალურ აქტივებში	(11 407)	(10 827)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(517 987)	(1 010 455)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრების გადახდა	(273 773)	(4 267 164)
შემოსავლები ნასესხები სახსრებიდან	920 751	6 619 158
ფინანსური ვალდებულება	29 297	(26 907)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	676 275	2 325 088
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(303 098)	392 653
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(7 504)	(1 553)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	505 137	114 037
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	194 534	505 137

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

18 დეკემბერი, 2024

შენიშვნები გვერდებზე 7-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	გადაანგარიშებული	
	2 023	2 022
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(620 293)	(47 946)
კორექტირებები:	-	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	287 431	269 936
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	158 906	(943 011)
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 809)	(1 277)
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	(175 766)	(722 299)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(51 073)	(1 261 280)
ცვლილება მარაგებში	24 928	13 184
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	(92 998)	13 573
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(35 770)	35 786
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(142 557)	1 076 167
გრძელვადიანი მოთხოვნები	11 850	(77 111)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში	(285 620)	(199 681)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(461 386)	(921 980)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილება ძირითად საშუალებებში	(506 580)	(999 628)
ცვლილება არამატერიალურ აქტივებში	(11 407)	(10 827)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(517 987)	(1 010 455)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრების გადახდა	(273 773)	(4 267 164)
შემოსავლები ნასესხები სახსრებიდან	920 751	6 619 158
ფინანსური ვალდებულება	29 297	(26 907)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	676 275	2 325 088
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(303 098)	392 653
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(7 504)	(1 553)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	505 137	114 037
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	194 534	505 137

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

18 დეკემბერი, 2024

შენიშვნები გვერდებზე 7-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



1. კორპორატიული ინფორმაცია

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2005 წლის ივლისში. და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204380035.

ძირითადი საქმიანობა. შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მედიცინისა და სილამაზის დარგში ფართო სპექტრის მომსახურების უზრუნველყოფა. კერძოდ: გამაჯანსაღებელი, სარელაქსაციო და სარეაბილიტაციო მომსახურებები. კომპანიის ძირითადი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგრეთვე ექიმ-პროფესიონალთა კონსულტაციების უზრუნველყოფა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასალის ქ., №9.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეები იყვნენ:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეიდან ჯგუფი - 75%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეიდანია - 25%

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“ (შემდგომში ჯგუფი) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში თავის მხრივ ფლობდა 100% წილს შპს „სასტუმრო - თბილისის სპა კურორტი“-ში, 70% წილს შპს „ბალნეო-რეჰაბი საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის და სქოლიოზის სადიაგნოსტიკო-სარეაბილიტაციო ცენტრი“-ში და 100% წილს შპს „ფიზიკური მედიცინის, კურორტოლოგიის და ბალნეოლოგიის ასოციაცია“-ში. ჯგუფი შეიქმნა 2019 წელს.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო **მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.**

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოაშადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ჯგუფის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2,7020	2,8844
2023 წლის 31 დეკემბერი	2,6894	2,9753

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება ჯგუფის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; ჯგუფი მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა ჯგუფის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

მოგების და სხვა გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას. მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში. საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება ჯგუფის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც ჯგუფის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების შეფასებული მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
შენობა-ნაგებობა	50
სამკურნალო გამაჯანსაღებელი დაწესებულების ინვენტარი	10
მანქანა-დანადგარები	6-9
სხვა ძირითადი საშუალებები	5-7

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ჯგუფი ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, ჯგუფი აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა)

მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღირიცხულია თვითღირებულების მოდელით.

ინვესტიციის გაუფასურების შემთხვევაში თვითღირებულებიდან გამოკლებული იქნება დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, ჯგუფი ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

ჯგუფი ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია ჯგუფის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

მომსახურების გაწევა - ჯგუფი ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში.

ჯგუფის საოპერაციო შემოსავლები

ჯგუფის საოპერაციო შემოსავალს შეადგენს რელიზებული მინის ბოლთებით მიღებული შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. ჯგუფში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში

საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, ჯგუფს მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე ჯგუფი რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე ჯგუფის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

5. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა ნაგებობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება						
ბალანსი 31.12.2021	-	11 787 569	1 273 975	683 897	11 563	13 757 003
შეძენა	800	696 848	39 791	220 094	55 800	1 013 333
გასვლა	-	-	(13 246)	(252 584)	(41 736)	(307 566)
ბალანსი 31.12.2022	800	12 484 417	1 583 519	710 939	25 626	14 805 301
შეძენა	15 374	650 561	-	59 026	100 235	825 196
გასვლა	-	(91 975)	(108 815)	(26 445)	(100 235)	(327 470)
ბალანსი 31.12.2023	16 174	13 043 003	1 474 703	743 519	25 626	15 303 026
ცვეთა						
ბალანსი 31.12.2021	-	-	(833 527)	(268 721)	-	(1 102 248)
გასვლა	-	-	12 804	7 224	-	20 028
ცვეთა	(80)	-	(195 707)	(104 565)	(4 258)	(304 610)
ბალანსი 31.12.2022	(80)	-	(1 044 337)	(372 176)	(4 258)	(1 420 851)
გასვლა	-	-	8 011	4 221	-	12 232
ცვეთა	(487)	-	(173 613)	(111 148)	(5 560)	(290 808)
ბალანსი 31.12.2023	(567)	-	(1 209 939)	(479 103)	(9 818)	(1 699 427)
ბალანსი 31.12.2022	720	12 484 417	539 182	338 763	21 368	13 384 450
ბალანსი 31.12.2023	15 607	13 043 003	264 765	264 416	15 808	13 603 599

6. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება		
ბალანსი 31.12.2022	34 084	34 084
შეძენა	16 537	16 537
გასვლა	(6 105)	(6 105)
ბალანსი 31.12.2023	44 516	44 516
ცვეთა		
ბალანსი 31.12.2022	(6 736)	(6 736)
გასვლა	5 600	5 600
ცვეთა	(4 625)	(4 625)
ბალანსი 31.12.2022	(5 761)	(5 761)
ბალანსი 31.12.2022	27 348	27 348
ბალანსი 31.12.2023	38 755	38 755

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში

7. გრძელვადიანი მოთხოვნები

გრძელვადიანი მოთხოვნები	2 023	2 022
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	-	77 111
სულ გრძელვადიანი მოთხოვნები	-	77 111

8. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	2 023	2 022
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	54 668	54 668
	54 668	54 668

9. წინასწარ გაწეული ხარჯი

წინასწარ გაწეული ხარჯი	2 023	2 022
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	3 620	3 620
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	54 319	54 319
	57 939	57 939

10. მარაგები

მარაგები	2023	2022
საქონელი	6 881	25 444
სარემონტო და მიმდინარე სამუშაოები	69 024	26 679
ნედლეული და მასალები	25 640	95 828
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	75 480	54 002
სულ მარაგები	177 025	201 953

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 023	2 022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 785 869	2 042 432
უსასყიდლო მიწოდება	-	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2 221	5 539
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	45	135
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1 031	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 789 168	2 048 106

12. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	2 023	2 022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	11 964	5 210
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	181 868	213 050
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	702	286 877
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	194 534	505 137

13. კაპიტალი

კაპიტალი	2 023	2 022
საწესდებო კაპიტალი	11,565,562	11,565,562
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	(1,142,523)	(544,288)
არამაკონტროლებელი წილი	(46,663)	(22,796)
სულ კაპიტალი	10,376,376	10,998,479

14. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები	2 023	2 022
გადასახდელი მოგების გადასახადი	(10 947)	10 514
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(758 746)	786 602
არარეზიდენტის გადასახადი განაცემებიდან	-	1 008
სსიპ საპენსიო სააგენტო	(1 584)	917
გადასახდელი დღგ	(1 428 701)	1 332 123
მიღებულ ავანსებზე გადასახდელი დღგ	2 198	(273)
გადახდილი დღგ	2 092 512	(1 986 697)
გვიან ჩათვლილი დღგ	-	-
ავანსზე ჩათვლილი დღგ	-	46 143
უკუდაბეგვრის დღგ	(2 815)	1 953
საოპერაციო საქმიანობიდან ჩათვლილი დღგ	-	(75 657)
ქონების გადასახადი	204 642	(84 503)
მიწის გადასახადი	(3 612)	9 062
ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	50	25
სულ საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები	92 998	41 218

15. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები	2 032	2 022
მოკლევადიანი სესხები	925 152	77 111
სულ მოკლევადიანი სესხები	925 152	77 111

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 022	2 022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	993 406	1 450 033
ვალდებულება უცხოელ მომწოდებელთან	107	107
გასანადღებელი მოკლევადიანი თამასუქი	20 295	21 290
ფიზ. პირებისგან ნასყიდობა	-	-
გადასახდელი ხელფასები	43 668	38 553
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 057 476	1 509 982

17. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები	2 023	2 022
გრძელვადიანი სესხები	3 619 365	3 735 298
სულ გრძელვადიანი სესხები	3 619 365	3 735 298

18. შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან	2 023	2 022
შემოსავალი რეალიზაციიდან	4 385 746	2 894 084
უსასყიდლო მიწოდება დღგ-თი დასაბეგრი	2 038	844 278
უსასყიდლო მიწოდება დღგ-თი დაუბეგრავი	8 079	
გაყიდული საქონლის დაბრუნება/კორექტირება და ფასდათმობა	(1 273)	
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	4 394 590	3 738 362

19. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი	2023	2022
უსასყიდლო მიწოდება დღგ დასაბეგრი	274 019	4 908
უსასყიდლო მიწოდება დღგ-თი დაუბეგრავი	26 078	171
სულ სხვა შემოსავალი	300 097	5 079

20. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2 023	2 022
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა	198 653	203 087
სხვა ხარჯები	144 115	162 721
პირდაპირი ხელფასი	1 680 931	1 424 242
არაპირდაპირი ხელფასი	20 109	13 250
გაყიდული / შეძენილი საქონელი	17 919	34 021
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2 061 727	1 837 321

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2 023	2 022
რეკლამის ხარჯები	55 508	60 435
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	865	726
შრომის ანაზღაურება	1 156 339	944 886
ხელფასის სახით დაბეგრილი	12 746	1 839
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	45 609
საიჯარო ქირა	4 220	600
კომუნალური ხარჯი	228 036	238 289
სხვა საერთო ხარჯები	186 507	227 423
წყლის ანალიზი	375	226
ინვენტარის იჯარის ხარჯი	-	1 653
სახელმწიფო მოსაკრებლის ხარჯი	871	186
კომუნიკაციის ხარჯები	14 973	14 266
დაზღვევა	49 981	5 807
რემონტი	57 177	119 052
კომპიუტერის ხარჯები	5 505	2 589
საკონსულტაციო ხარჯები	300 000	195 000
ცვეთა და ამორტიზაცია	287 431	303 939
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	-	2 826
სხვა საგადასახადო ხარჯი	140 137	172 095
ბანკის საკომისიო (ტერმინალები)	42 104	385
წარმომადგენლობითი ხარჯი	16 927	790
ხარჯები რომლებიც არ გამოიქვითება	10 117	-
საშუამავლო მომსახურება	14 296	-
ინვენტარის მიმდინარე რემონტი	87 432	-
საკანცელარიო ხარჯი	9 606	-
საწვავის ხარჯი	399	-
სამეურნეო ხარჯი	8 145	-
პროგრამული მომსახურება	28 348	-
	2 718 046	2 338 619

22. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	2 023	2 022
არასაოპერაციო შემოსავლები	-	-
არასაოპერაციო მოგება	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(11 093)	334 352
არასაოპერაციო ზარალი	-	(371 599)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	100 462	(303 904)
კონვერტაცია	-	-
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	89 369	- 341 151

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

23. მოგება/ზარალი კურსთასორის სხვაობიდან

მოგება/ზარალი კურსთასორის სხვაობიდან	2 023	2 022
საკურსო სხვაობა	(152 999)	955 751
კონვერტაციის ხარჯი	(5 907)	(12 496)
სულ მოგება/ზარალი კურსთასორის სხვაობიდან	(158 906)	943 254

24. ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	(286 584)	(217 550)
სულ საპროცენტო ხარჯი	(286 584)	(217 550)

25. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

26. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების ჯგუფის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2023	დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	702	-	193 832	194 534
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-	1 789 167	1 789 167
სულ ფინანსური აქტივები	702	-	1 982 999	1 983 701
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,057,476	1,057,476
გრძელვადიანი სესხები	-	-	3 619	3 735 298
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	4 676 842	4 676 842
წმინდა პოზიცია	-	-	(2 693 843)	(2 693 141)

2022	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	39	286 837	218 260	505 137
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	2 048 106	2 048 106
სულ ფინანსური აქტივები	39	286 837	2 266 366	2 553 242
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1 509 982	1 509 982
გრძელვადიანი სესხები	-	-	3 735 298	3 735 298
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	5 245 280	5 245 280
წმინდა პოზიცია	39	286 837	(2 978 914)	(2 692 038)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ჯგუფის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც

მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2023	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	194 534	-	-	194 534
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 789 167	-	-	1 789 167
სულ ფინანსური აქტივები	1 983 701	-	-	1 983 701
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 057 476	-	-	1 057 476
გრძელვადიანი სესხები	-	3 619 365	-	3 619 365
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 057 476	3 619 365	-	4 676 841
წმინდა პოზიცია	926 225	(3 619 365)	-	(2 693 140)
2022	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	505 137	-	-	505 137
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 048 106	-	-	2 048 106
სულ ფინანსური აქტივები	2 553 243	-	-	2 553 243
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 509 982	-	-	1 509 982
გრძელვადიანი სესხები	-	3 735 298	-	3 735 298
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 509 982	3 735 298	-	5 245 280
წმინდა პოზიცია	1 359 420	(3 735 298)	-	(2 692 037)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ ჯგუფის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელსაც მიღებაც შეუძლია ჯგუფს, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

ჯგუფის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

		31-დეკ-2023		31-დეკ-2022
	საბალანსო	სამართლიანი	საბალანსო	სამართლიანი
	<u>ღირებულება</u>	<u>ღირებულება</u>	<u>ღირებულება</u>	<u>ღირებულება</u>
ფული და ფულის ექვივალენტები	194 534	194 534	505 137	505 137
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1 789 167	1 789 167	2 048 106	2 048 106
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 057 476	1 057 476	1 509 982	1 509 982
გრძელვადიანი სესხები	3 619 365	3 619 365	3 735 298	3 735 298

28. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს ჯგუფზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

	2023	2022
მენეჯმენტის ანაზღაურება	118 478	247 464
სულ	118 478	247 464

29. საქმიანობის უწყვეტობა

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში ჯგუფს აქვს უარყოფითი EBITDA, განსხვავებით წმინდა მოგებისგან. წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით ჯგუფის საოპერაციო შემოსავალი გაზრდილია და ჯგუფი არ ფლობს ვალდებულებას, რომლის გადაფარვასაც ვერ შეძლებდა. ბიზნესის პერსპექტივა საკმარისად კარგი ჩანს იმისთვის, რომ მენეჯმენტი დავრწმუნდეთ, რომ მუდმივი პრობლემების წარმოშობა არ მოხდება.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

30. შესადარისი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

ჯგუფმა 2022 წლის პერიოდთან მიმართებაში განახორციელა კორექტირებები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მუხლებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებულ კორექტირებებს.

	გადაანგარიშებამდე	გადაანგარიშების შემდეგ
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(1 277)
	-	(1 277)

	გადაანგარიშებამდე	გადაანგარიშების შემდეგ
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1 052 950)	(1 261 280)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	-	13 573
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1 072 165	1 076 167
გრძელვადიანი მოთხოვნები	-	(77 111)
ცვლილება სხვა აქტივებში	2 031 452	-
	2 050 667	(248 651)

	გადაანგარიშებამდე	გადაანგარიშების შემდეგ
ცვლილება არამატერიალურ აქტივებში	-	10 827
	-	10 827

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

	გადაანგარიშებამდე	გადაანგარიშების შემდეგ
ნასესხები სახსრების გადახდა	-	(4 267 164)
შემოსავლები ნასესხები სახსრებიდან	-	6 619 158
ფინანსური ვალდებულება	-	(26 907)
	-	2 325 088

	გადაანგარიშებამდე	გადაანგარიშების შემდეგ
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და		
ფულის ეკვივალენტებზე	-	(1 553)
	-	(1 553)

31. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომზადარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების გასაჯაროებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.